

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „რიკო ექსპრესი“

ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	8
2. მომზადების საფუძველი.....	8
2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება).....	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	20
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21
6. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	22
7. კლიენტებზე გაცემული სესხები.....	22
8. ძირითადი საშუალებები	25
9. მოგების გადასახადი	26
10. სხვა აქტივები.....	28
11. გამოშვებული თამასუქები	29
12. წასესხები სახსრები.....	29
13. სხვა ვალდებულებები	29
14. კაპიტალი	30
15. პირობითი ვალდებულებები.....	31
16. სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	31
17. რისკის მართვა	32
18. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი	40
19. სამართლიანი ღირებულების შეფასება	41
20. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....	46
20. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)	47
21. კაპიტალის ადეკვატურობა	47
22. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან და სხვა არაფულადი ოპერაციებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში	48
23. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	48

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის - შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესის“ პარტნიორსა და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის - შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვაპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, შეძლებს თუ არა აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.



რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაი საქართველოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

2018 წლის 14 ივნისი

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“ ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლოარში)

	შენიშვნები	2017	2016
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	74,969	72,851
წარმოებული ფინანსური აქტივები	6	585	–
მომზარებლებზე გაცემული სესხები	7	201,354	228,995
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		715	2,063
ძირითადი საშუალებები	8	14,073	14,549
არამატერიალური აქტივები		66	88
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	9	782	1,119
სხვა აქტივები	10	13,454	5,862
სულ აქტივები		305,998	325,527

ვალდებულებები


წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	6	701	-
გამოშვებული თამასუქები	11	134,156	187,232
ნასესხები სახსრები	12	45,652	34,609
სხვა ვალდებულებები	13	1,459	441
სულ ვალდებულებები		181,968	222,282

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	836	836
გაუნაწილებელი მოგება	119,912	98,990
გადაფასების რეზერვი	3,282	3,419
სულ კაპიტალი	124,030	103,245
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	305,998	325,527

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად 2018 წლის 14 ივნისს

თამარ გოგოძე



აღმასრულებელი დირექტორი

გულიდა საჯარა

მთავარი ბუღალტერი

პვალიფიციური საკრედიტო ონსტიტუტი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“
ფინანსური აწგარიშება

სრული შემოსავლის ანგარიშება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი			
მომხმარებლებზე გაცემული სესხები		51,627	53,210
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		4,394	3,372
		56,021	56,582
საპროცენტო ხარჯი			
გაცემული თამასუქები		(10,039)	(15,017)
ნასესხები სახსრები		(5,110)	(3,847)
		(15,149)	(18,864)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		40,872	37,718
სესხების გაუფასურების რეზერვი	7	(1,748)	(3,302)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების რეზერვის შემდგომ		39,124	34,416
საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი):		3,347	3,000
- სავალუტო ოპერაციები		5,906	5,287
- საკურსო სხვაობები		(662)	(2,722)
- უცხოურ ვალუტაში გამოსახული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები		(3,345)	-
სხვა შემოსავალი		230	130
არასაპროცენტო შემოსავალი		5,476	5,695
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი		(6,950)	(5,877)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,242)	(1,229)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(2,626)	(2,925)
არასაპროცენტო ხარჯი		(10,818)	(10,031)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		33,782	30,080
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(4,785)	(3,033)
წლის მოგება		28,997	27,047
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება			
მოგების გადასახადით დაბეგვრის ეფექტი შენობების გადაფასებაზე	9	-	513
წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება:		-	513
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		28,997	27,560

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“
ფინანსური ანგარიშგება

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	<u>საწესდებო კაპიტალი</u>	<u>გაუნაწილებელი მოგება</u>	<u>გადაფასების რეზერვი</u>	<u>სულ</u>
1 იანვარი, 2016 წ.	836	80,281	3,028	84,145
წლის მოგება	–	27,047	–	27,047
წლის სხვა სრული შემოსავალი	–	–	513	513
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	27,047	513	27,560
გადაფასების რეზერვის ცვეთა და	–	122	(122)	–
გადატანა (მე-14 შენიშვნა)	–	(8,460)	–	(8,460)
გამოცხადებული დივიდენდები (მე-14 შენიშვნა)	836	98,990	3,419	103,245
31 დეკემბერი, 2016 წ.				
წლის მოგება	–	28,997	–	28,997
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	28,997	–	28,997
გადაფასების რეზერვის ცვეთის გადატანა	–	137	(137)	–
(მე-14 შენიშვნა)	–	(8,212)	–	(8,212)
გამოცხადებული დივიდენდები (მე-14 შენიშვნა)	836	119,912	3,282	124,030
31 დეკემბერი, 2017 წ.				

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“
ფინანსური ანგარიშგება

ფულადი წარადების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი წარადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი	54,944	56,449	
გადახდილი პროცენტი	(15,297)	(19,248)	
შემოსულობა დასაკუთრებული უზრუნველყოფის გაყიდვიდან	7,472	8,980	
შემოსულობა უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან და			
უცხოურ ვალუტაში წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	2,677	5,287	
ფულადი გზავნილებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი	3,347	3,000	
სხვა მიღებული შემოსავალი	230	130	
გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	(6,920)	(5,877)	
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	(2,678)	(2,099)	
ფულადი წარადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო			
აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	43,775	45,737	
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში			
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	10,438	(5,001)	
სხვა აქტივები	(3,635)	(1,230)	
სხვა ვალდებულებები	1,040	(4,509)	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი წარადები			
მოგების გადასახადის გადახდამდე	51,618	34,997	
გადახდილი მოგების გადასახადი	(3,100)	(9,024)	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი წარადები	48,518	25,973	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი წარადები			
ძირითადი საშუალებების შემენა	(744)	(2,145)	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი			
წარადები	(744)	(2,145)	
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი წარადები			
ნასესხები სახსრებიდან შემოსული თანხები	22	37,587	48,175
ნასესხები სახსრების დაფარვა	22	(26,621)	(39,560)
გადახდილი თამასუქები, წმინდა	22	(48,323)	(15,405)
გადახდილი დოკიდებულები	14	(8,212)	(8,460)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი			
სახსრები	(45,569)	(15,250)	
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და			
მათ ეკვივალენტებზე	(87)	(3,015)	
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	2,118	5,563	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის	5		
დასაწყისში	72,851	67,288	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლო	5	74,969	72,851

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“
2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“ (შემდგომში „კომპანია“) 2004 წლის 1 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით.

2007 წლის 11 აპრილს კომპანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ („სებ“) დარეგისტრირდა, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რეგისტრაციის ნომრით #80407. 2013 წლის 26 ივნისს კომპანიას სებ-ისგან მიენიჭა კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის სტატუსი.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ჭავჭავაძის გამზირი #70, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა უძრავ-მოძრავი ქონებით (ძირითადად, ძვირფასი ლითონებით და უძრავი ქონების ობიექტებით) უზრუნველყოფილი მცირე და საშუალო ზომის სესების გაცემა ფიზიკურ პირებზე, სავალუტო ოპერაციები და ფულადი გზავნილები.

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ერთპიროვნული მფლობელი ქალბატონი დალი ურუშაძე იყო.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ. მიწა და შენობა-ნაგებობები და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებითა შეფასებული.

კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა ქართული ლარია. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

გამოშვების შემდეგ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანა

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოშვების შემდეგ შეტანილი ნებისმიერი ცვლილება უნდა დამტკიცდეს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სამეთვალყურეო საბჭოს კრებაზე. სამეთვალყურეო საბჭოს კრება, ჩვეულებრივ, ტარდება წლის მეორე ნახევარში, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების შემდეგ.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიამ პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტების ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ თითოეული ცვლილების ხასიათსა და გავლენას:

ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება: განმარტებითი შენიშვნების ინიციატივა“

ცვლილებების თანახმად, საწარმოებს ევალებათ ინფორმაციის წარმოდგენა საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, როგორც ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებების, ისე არაფულადი ცვლილებების (როგორიცაა საკურსო სხვაობიდან

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

მიღებული მოგება ან ზარალი) ჩათვლით. კომპანიამ 22-ე შენიშვნაში წარმოადგინა როგორც მიმდინარე, ისე შედარებადი პერიოდის ინფორმაცია.

საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესულ სხვა ახალ ან გადასინჯულ ფასს-ს არ უმოქმედია კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან შედეგებზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მირითადი პრინციპები

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებებისას:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგრელის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარება

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი დირექტულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებულ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების გადატანა ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაში გადიოდა.

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია ანგარიშსწორების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც შესყიდული აქტივი კომპანიას გადაეცა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

სესხები და მისაღები ანგარიშები

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადანი გადაყიდვისთვის, და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგების და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხების და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფინანსური აქტივების გადატანა

თუ გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში შესული არაწარმოებული ფინანსური აქტივი აღარ არის უახლოეს მომავალში გასაყიდად გამიზნული, შესაძლებელია მისი გადატანა სამართლიანი ღირებულებიდან მოგების ან ზარალის მეშვეობით, შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ფინანსური აქტივი, რომელიც დააკმაყოფილებს სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიის განსაზღვრებას, შესაძლოა გადატანილი იქნას სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაზე, თუ კომპანიას აქვს განზრახვა და შესაძლებლობა შეინახოს აღნიშნული აქტივი განსაზღვრული დროით, ვადის გასვლამდე;
- ▶ იშვიათ შემთხვევებში, სხვა ფინანსური აქტივები შესაძლოა გადატანილი იქნას გასაყიდად გამიზნულ ან დაფარვის ვადამდე ფლობილ კატეგორიებზე.

გასაყიდად არსებულად კლასიფიცირებული ფინანსური აქტივი, რომელიც დააკმაყოფილებს სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიის განსაზღვრებას, შესაძლოა გადატანილი იქნას სესხებსა და მისაღებ ანგარიშებზე, თუ კომპანიას აქვს განზრახვა და შესაძლებლობა, შეინახოს აღნიშნული აქტივი განსაზღვრული დროით, ვადის დადგომამდე;

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გადატანა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივის გადატანა ხდება მისი სამართლიანი ღირებულებით გადატანის თარიღისათვის. არ ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ნებისმიერი მოგების ან ზარალის შემობრუნება. ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება გადატანის თარიღისთვის წარმოადგენს მის ახალ ღირებულებას ან ამორტიზებად ღირებულებას, შესაბამისად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და საკრედიტო დაწესებულებებისგან მისაღები მოთხოვნამდე და გაცემიდან 90 დღის ვადის მქონე თანხებისგან და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისგან.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია აფორმებს უცხოური ვალუტის სვოპებს. კონტრაგენტები, როგორც წესი, არიან ადგილობრივი ბანკები.

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ფასწარმოქმნის მოდელის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია შესაბამისი ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზო და საკონტრაქტო ფასი და სხვა ფაქტორები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება, როგორც აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, უცხოური ვალუტიდან წმინდა მოგების/(ზარალის) ნაწილში.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ფლობს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რისკის ჰეჯირების მიზნებისთვის, ეს ინსტრუმენტები არ არის სათანადო ჰეჯირების აღრიცხვისთვის.

ნასესხები სახსრები და გამოშვებული თამასუქები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე საკონტრაქტო გარიგებების შედეგად კომპანიას წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ეს ინსტრუმენტები მოიცავს გამოშვებულ მარტივ თამასუქებსა და ნასესხებ სახსრებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, და ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, კორექტირდება გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებით.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი აღიარებისას შეფასებული სამართლიანი ღირებულება გარიგების ფასისგან, მაშინ:

- ▶ თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით (ე.ი. 1 დონის მდგენელი) ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ კომპანია აღიარებს სხვაობას თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, როგორც მოგებას ან ზარალს საპროცენტო შემოსავალში ან ხარჯებში, შესაბამისად;
- ▶ ყველა დანარჩენ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება დაკორექტირდება, რომ გადაავადოს სხვაობა თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის. თავდაპირველი აღიარების შემდეგ კომპანია ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს, როგორც შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ მაშინ, როდესაც მონაცემები გახდება ბაზარზე მოპოვებადი, ან როდესაც ინსტრუმენტების აღიარება შეწყდება.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. ურთიერთგაქვითვის უფლების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს სამომავლო შემთხვევის დადგომის პირობით და წებადართული უნდა იყოს:

- ▶ ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში;
- ▶ დეფოლტის შემთხვევაში; და
- ▶ კომპანიის და ყველა კონტრაგენტის არაკრედიტუნარიანობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ეს პირობები, ზოგადად, არ სრულდება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებში და შესაბამისი აქტივები და ვალდებულებები მთლიანად არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურებულად მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, თუ არსებობს რამე შემთხვევის ან შემთხვევების შედეგად გამოწვეული გაუფასურების არსებობის ობიექტური საფუძველი, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის შემთხვევას ან შემთხვევებს გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორიცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხების შემთხვევაში, კომპანია კოლექტიურად აფასებს, არსებობს თუ არა ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. კომპანია კოლექტიურად აფასებს მსგავსი საკრედიტო რისკების მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფების გაუფასურებას.

თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (გარდა მომავალში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია).

აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. საპროცენტო შემოსავალი ერიცხება დაუფარავ ძირითად თანხას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით.

სალომბარდო სესხები, მათ შესაბამის რეზერვთან ერთად, ჩვეულებრივ, ჩამოწერება და უზრუნველყოფის საგნის დასაკუთრება ხდება მაშინ, როდესაც შესაბამისი სესხი 120 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული. უიმედო იპოთეკური სესხები ჩამოწერება მაშინ, როდესაც უზრუნველყოფის საგნის ამოღების პროცედურები სრულდება და ფულადი ნაკადების შემდგომი მიღება აღარ არის მოსალოდნელი მსესხებლისგან ან უზრუნველყოფის საგნიდან, რასაც შეიძლება 2 წელი დასჭირდეს.

თუ ჩამოწერების ამოღება მომავალში მოხერხდება, ეს აისახება მოგებაში ან ზარალში, როგორც სესხის გაუფასურების რეზერვის ამობრუნება.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია კომპანიის შიდა საკრედიტო რანჟირების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ვადაგადაცილების სტატუსს, სესხის ვალუტასა და საკრედიტო პროდუქტს.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება ამჟამინდელ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა გათვალისწინებულ იქნას ამჟამინდელი პირობები, რომელიც არ მოქმედებდა ისტორიული ზარალის წლებში, და არ იქნას გათვალისწინებული ისტორიული ზარალის პერიოდის ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და უკავშირდება წლიდან წლამდე გარკვეული თარიღისათვის მომხდარ ცვლილებებს (როგორიცაა გადახდისუნარიანობა და სხვა ფაქტორები, რომლებიც ჯგუფში ზარალის ან მისი მასშტაბის განმსაზღვრელია). სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დამვებების, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, გადახედვა ხდება რეგულარულად განსაზღვრულ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი ითარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი იანგარიშება საქართველოს საგადასახადო კოდექსის ნორმატიული აქტების შესაბამისად.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაქმე საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარებიდან იმ პერიოდის მდგრადი არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქნიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთებით (რომლებიც ვრცელდება გაუნაწილებელ მოგებაზე), რომლებიც საგარაუდოდ იმოქმედებს აქტივის რეალიზაციის ან ვალდებულების გასტურმების პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების თარიღისთვის.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძვირფასი ლითონები

ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონები, რომლებიც მიიღება უზრუნველყოფის საგნის სახით უიმედო მსესხებლებისგან სესხების დასაფარად, თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც უტოლდება დასაკუთრების თარიღისთვის დაფარული სესხის წმინდა საბალანსო ღირებულებას. ამის შემდეგ იზომება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება გადადნობის მოსალოდნელი დანახარჯებით შემცირებული ბლუმბერგის შეთავაზებული ფასით. სამართლიანი ღირებულების ცვლილებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ოქროს ზოდების გასხვისების შედეგად მიღებული მოგება/ზარალი აღირიცხება უცხოური ვალუტებისგან წმინდა ნამეტი შემოსავლის ნაწილში.

ძირითადი საშუალებები

თვითღირებულებით პირველადი აღიარების შემდგომ, მიწა და შენობა-ნაგებობები აისახება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისათვის გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. შეფასება ტარდება იმდენად ხშირად, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

გადაფასების დღისთვის დაგროვილი ცვეთა აკლდება აქტივის საბალანსო ღირებულებას და წმინდა თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული ღირებულების ოდენობით. გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება სხვა სრულ შემოსავლებში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება მნამდე მოგებაში ან ზარალში აღიარებული ამავე აქტივის გადაფასებისას მისი ოდენობის შემცირების აღდგენა. ამ შემთხვევაში მატების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც უშუალოდ გაჟეითავს ამავე აქტივზე უწინ აღიარებულ მეტობას, პირდაპირ გაიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობიდან.

ქონების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების მოცულობა. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

წელი
შენობა-ნაგებობები
სხვა

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივების ნაოჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს. არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო ეკონომიკური ხანგრძლივობის – 5-7 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

ანარიცხები

რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები წარსულში მომზადარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება.

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტინუაციას ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები საკარაულო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი. სესხებზე ვადაგადაცილებული შენატანებთან დაკავშირებული ჯარიმებისა და საურავების აღიარება ხდება საპროცენტო შემოსავლის სახით იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიღებს მასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს. როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მიღებული გასამრჯელო და საკომისიო

კომპანია გამოიმუშავებს საკომისიოს ფულადი გზავნილებიდან, რომელთა აღიარებაც ხდება შესაბამისი იპერაციის დასრულებისთანავე.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია უცხოურ ვალუტებიდან მიღებული წმინდა მოგების/ზარალის ნაწილში.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ მაღაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ მაღაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი მაღაში შესვლისთანავე.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასს) გამოსცა ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“, რომელიც ანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. ფასს 9 ეხება კლასიფიკაციასა და შეფასებას, გაუფასურებასა და ჰეჯირების აღრიცხვას. ფასს 9 მაღაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. სავალდებულოა მისი რეტროსპექტულად გამოყენება, გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, თუმცა შედარებადი ინფორმაციის გადაანგარიშება სავალდებულო არ არის.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით, ყველა სავალო ფასიანი ქაღალდი, რომელიც არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის“ კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში. ამ კრიტერიუმის თანახმად, სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეესაბამება „დაკრედიტების ძირითად სქემას“, მაგალითად, ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავს კონვერტაციის ჩართულ ოფციონს ან „რეგრესის უფლების არმქონე სესხები“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. სავალო ფინანსური აქტივების შემთხვევაში, რომლებიც აკმაყოფილებს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას მათი კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნესმოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება ეს ინსტრუმენტები:

- ▶ ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით;
- ▶ ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ▶ ინსტრუმენტები, რომლებიც იმართება სხვა საფუძველზე, მათ შორის სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

წილობრივი ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული უნდა იქნეს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ხდება ინსტრუმენტების შეუქცევადი კლასიფირება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, გარდა დივიდენდის სახით შემოსვლისა, აღიარებული უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში, მოგებაში ან ზარალში შემდგომი გადატანის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება მეტწილად უცვლელი რჩება და არ განსხვავდება არსებული ბასს 39-ის მოთხოვნებისგან. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები კვლავაც შეფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ფასს 9-ის მიღების ეფექტის განსაზღვრის პროცესშია, თუმცა ამ ეტაპისთვის არ არსებობს ამ ეფექტის რაიმე გონივრული შეფასება.

(ბ) გაუფასურება

ფასს 9 კომპანიას უწესებს მოთხოვნას ჰქონდეს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით თუ სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში შეფასებულ ყველა თავის სავალო ფინანსურ აქტივზე ისევე, როგორც სასესხო ვალდებულებებსა და ფინანსურ გარანტიებზე. რეზერვი ეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის აღდათობას, თუ სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. ასეთ შემთხვევაში რეზერვი ეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივის განმარტებას, მაშინ რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფასს 9-ის მიერ შემოდგებული გაუფასურების ზარალის აღიარების ახალი მოდელის თანახმად, არსებობს „სამეტაპიანი მიდგომა“, რომელიც ეყრდნობა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ცვლილებას. პრაქტიკაში ეს ახალი წესი იმას ნიშნავს, რომ საწარმოებმა დაუყოვნებლივ უნდა აღრიცხონ 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლფასი ზარალი იმ ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას, რომლებზეც საკრედიტო გაუფასურება არ ფიქსირდება. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, გაუფასურება ფასდება აქტივის არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, და არა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე.

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

2014 წლის მაისში ბასს-მა გამოსცა ფასს 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“, რომელიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ფასს 15 განსაზღვრავს შემოსავლის აღიარების პრინციპებს და გავრცელდება კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე. თუმცა, ფინანსურ ინსტრუმენტებისა და იჯარის თანმდევი საპროცენტო და საკომისიო შემოსავალი კვლავაც გასცდება ფასს 15-ის სამოქმედო არეალს და დარეგულირდება სხვა მოქმედი სტანდარტებით (მაგ. ფასს 9-ით და ფასს 16-ით „იჯარა“).

ფასს 15-ის თანახმად, შემოსავლის აღიარება უნდა მოხდეს საქონლის ან მომსახურების გადაცემისას იმ ოდენობით, რა ოდენობის კომპენსაციასაც გადამცემი მოელის საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. სტანდარტით ასევე დაზუსტდება სავალდებულო განმარტებითი შენიშვნების სრული პაკეტი შემოსავლის ხასიათის, ოდენობისა და ვადების, ასევე მისი განუსაზღვრელობისა და კლიენტებთან შესაბამისი ფულადი ნაკადების შესახებ.

ამ ეტაპზე კომპანია ჯერ კიდევ აფასებს ფასს 15-ის ეფექტს, თუმცა მნიშვნელოვან გავლენას არ მოელის იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის შემოსავლების ნაკადების უმეტესობა ახალი სტანდარტის მოქმედების სფეროს სცდება.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაყრდელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

օլավել (IFRS) 16 „օչարմա“

2016 წლის იანვარში ბასას-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 „იჯარა“. ახალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარეებისთვის. თუმცა, მოიჯარებს იგი ავალდებულებს იჯარების უმეტესობის თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ „მოკლევადიანი“ იჯარები და იჯარები „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ხარჯი და საამორტიზაციო ანარიცხების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშებიაში.

ფასს 16 მალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. წებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის შესახებ ახალი სტანდარტის - ფასს 15-ის გამოყენებაც იმავე თარიღით მოხდება.

კომპანია არ მოელის ფასს 16-ის ვადაზე ადრე მიღებას და ამ ეტაპზე ათასებს მის გავლენას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშების ფასს-ის შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების გაცხადებული თანხებზე.

განუსაზღვრელობის შეფასება

ფინანსურ ანგარიშებაში ასახული თანხების დასადგენად, კომპანიის ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო პოლიტიკის გარემონტისას გამოიყენა თავისი შეფასებები. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

როდესაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების მიღება აქტიური ბაზრებიდან ვერ ხერხდება, ისინი განისაზღვრება შეფასების სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის მათემატიკური მოდელებით. ამ მეთოდებისთვის ინფორმაცია აიღება ბაზრიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, სამართლიანი ღირებულება შეფასების საფუძველზე განისაზღვრება. იხილეთ მე-19 შენიშვნა.

Աղսեղօս գաղցասպոնդօս ռեժիմը

კომპანიის მიერ რეგულარულად ხდება სესხებისა და მისაღები ანგარიშების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში. გაუფასურების ზარალს კომპანია განსაზღვრავს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით იმ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელს აქვს ფინანსური სირთულეები და ანალოგიურ მსესხებლებთან მიმართებაში ისტორიული მონაცემები რთულად მოიპოვება. საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

განუსაზღვრელობის შეფასება (გაგრძელება)

შეფასებებსა და ანალოგიური სესხებისა და მისაღები ანგარიშების გაუფასურების ობიექტურ საფუძველს. სესხების ან მისაღები ანგარიშების შემთხვევაში კომპანია გამოცდილების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას საბაზრო მონაცემების არსებული გარემოებების შესაბამისად დაკორექტირებაზე. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული სესხის გაუფასურების რეზერვის ოდენობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,613 იყო (2016 წ.: 2,831). დამატებითი დეტალები წარმოდგენილია მე-7 შენიშვნაში.

შენობა-ნაგებობების გადაფასება

კომპანია თავის მიწასა და შენობა-ნაგებობებს სამართლიანი ღირებულებით აღრიცხავს. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიწისა და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად კომპანიამ დაიქირავა შეფასების დამოუკიდებელი სპეციალისტები. შემფასებელმა გამოიყენა შედარებად საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობილი შეფასების მეთოდი და ასევე, დაშვებები კაპიტალიზაციის კოეფიციენტებთან დაკავშირებით. კომპანიის მიწისა და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენებული ძირითადი დაშვებები უფრო დაწვრილებით განმარტებულია მე-19 შენიშვნაში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ გაანალიზა ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაცია თავის მიწასა და შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებით და დაასკვნა, რომ თავისი მიწისა და შენობა-ნაგებობების შეფასების შედეგად მიღებული სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდა მათი საბალანსო ღირებულებისგან და, შესაბამისად, საჭირო არ გახდა მათი გადაფასება.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	2017	2016
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	32,906	15,745
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	42,063	56,217
ფულადი სახსრები გზაში	-	889
	74,969	72,851

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 39,781 ლარი, ანუ სხვა საკრედიტო ინსტიტუტებში მიმდინარე ანგარიშების 94% (2016 წ.: 53,670 ლარი, ანუ 94%) განთავსებულია სამ (2016 წ.: სამ) ქართულ ბანკში, რომლებსაც მინიჭებული აქვთ „B+“-დან „BB-“-მდე რეიტინგები (სარეიტინგო საგენტო „Fitch“-ისგან).

(ათას ლარში)

6. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის შემცირების მიზნით. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც აღრიცხულია აქტივებად და ვალდებულებებად მათ პირობით თანხებთან ერთად. ჯამურად აღრიცხული პირობითი თანხა წარმოადგენს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის შესაბამისი აქტივის თანხას და საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ფასდება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილება. პირობითი თანხები ასახავს ოპერაციათა მოცულობას წლის ბოლოსთვის და არ მოიცავს საკრედიტო რისკს.

ნომინალური თანხა	სამართლიანი ღირებულებები	
	აქტივი	ვალდებულება
სავალუტო ხელშეკრულებები სავალუტო სვოპები - ადგილობრივი	100,608	585 (701)

სავალუტო სვოპები წარმოადგენს კონტრაქტის ტიპს, რომელიც ფორმდება ორ მხარეს შორის გარკვეული პირობითი თანხების საფუძველზე უცხოური სავალუტო განაკვეთების მოძრაობების გაცვლის მიზნით.

7. კლიენტებზე გაცემული სესხები

კომპანიამ გასცემს მცირე და საშუალო ზომის სესხებს ფიზიკურ პირებზე: იპოთეკური სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, ხოლო სალომბარდო სესხები უზრუნველყოფილია მვირფასი ლითონებით (მირითადად ოქროთი) და სამვაულებით.

სალომბარდო სესხები, ჩვეულებრივ, 1 თვიდან 6 თვემდე ვადით გაიცემა და მსესხებლისა და კომპანიის ორშერივი შეთანხმებით შესაძლებელია ვადის გაგრძელება. იპოთეკური სესხები, ჩვეულებრივ, 35 თვიანი ვადით გაიცემა.

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“
2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	2017	2016
სალომბარდო სესხები	146,642	146,653
იპოთეკური სესხები	57,325	85,173
მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები	203,967	231,826
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(2,613)	(2,831)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	201,354	228,995

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

სალომბარდო სესხები	იპოთეკური სესხები	სულ
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,126	1,705
დარიცხვა წლის განმავლობაში	565	1,183
ჩამოწერილი თანხები	(608)	(1,358)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,083	1,530
		2,613

სალომბარდო სესხები	იპოთეკური სესხები	სულ
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,465	1,031
დარიცხვა წლის განმავლობაში	1,102	2,200
ჩამოწერილი თანხები	(1,441)	(1,526)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,126	1,705
		2,831

ხელმძღვანელობის შეფასებით, კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურება ეყრდნობა წარსულში ზარალებთან დაკავშირებულ ისტორიულ გამოცდილებას. კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს სასესხო ხელშეკრულების მიხედვით სესხზე ვადაგადაცილებულ შენატანებს.

სესხის უზრუნველყოფა

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია უზრუნველყოფის საგნის ტიპებისა და შეფასების პარამეტრების ინსტრუქციები.

მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- ძვირფასი ლითონები

(ათას ლარში)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

- უძრავი ქონება.

ხელმძღვანელობა ახდენს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების მონიტორინგს, მოითხოვს დამატებით უზრუნველყოფას სესხის ხელშეკრულების თანახმად და თვალყურს ადევნებს სესხის გაუფასურების რეზიუმის ადეკვატურობის გადახედვისას მიღებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას.

სესხის უზრუნველყოფა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია კლიენტებზე გაცემული სესხები, რომლებზეც სხვადასხვა ტიპის უზრუნველყოფა მოქმედებს. აյ ასახულია შესაბამისი სესხების საბალანსო ღირებულება, მაგრამ არა წარმოდგენილი უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება.

	წილი სასესხო პორტფელში %	წილი სასესხო პორტფელში %
2017	2016	
მემკვიდრეობის ლითონებით		
უზრუნველყოფილი სესხები	133,763	65%
უძრავი ქონებით		
უზრუნველყოფილი სესხები	57,325	28%
სამკაულებით		
უზრუნველყოფილი სესხები	11,852	6%
გამოშვებული თამასუებით		
უზრუნველყოფილი სესხები	65	0%
არაუზრუნველყოფილი		
სესხები	962	1%
კლიენტებზე გაცემული სესხები, მთლიანი	203,967	<u>100%</u>
		231,826
		<u>100%</u>
გამოკლებული: გაუფასურების რეზიუმი	<u>(2,613)</u>	<u>(2,831)</u>
მომხმარებლებზე გაცემული სესხები, სულ	<u>201,354</u>	<u>228,995</u>

კომპანიას უფლება აქვს ხელახლა დააგირაოს სალომბარდო სესხის ფარგლებში მიღებული უზრუნველყოფის საგანი, კლიენტის დეფოლტის არარსებობის შემთხვევაში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სალომბარდო სესხების ფარგლებში უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული მემკვიდრეობის ლითონების სამართლიანი ღირებულება უდრიდა 186,828 ლარს (2016 წ.: 168,160 ლარი).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 63,036 ლარის სამართლიანი ღირებულების მქონე (2016 წ.: 72,463 ლარი) უზრუნველყოფა კლიენტების მიერ სალომბარდო სესხების ფარგლებში დაგირავებული მემკვიდრეობის ლითონების სახით, ხელახლა დაგირავდა ქართული ბანკებისგან ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად (მე-12 შენიშვნა).

(ათას ლარში)

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა ასეთია:

	კომპიუტერული და მიწა და შენობა- ნაგებობები	საკომუნიკაციო აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	ავტოსატრან- სპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება / გადაფასებული ღირებულება					
31 დეკემბერი, 2016 წ.	13,103	2,734	806	1,057	17,700
შემოსვლები	385	204	155	–	744
31 დეკემბერი, 2017 წ.	13,488	2,938	961	1,057	18,444

დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი, 2016 წ.	(506)	(1,615)	(395)	(635)	(3,302)
ცვეთის დანარიცხი	(524)	(414)	(133)	(149)	(1,220)
31 დეკემბერი, 2017 წ.	(1,030)	(2,029)	(528)	(784)	(4,371)

წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი, 2016 წ.	12,597	1,119	411	422	14,549
31 დეკემბერი, 2017 წ.	12,458	909	433	273	14,073

	კომპიუტერული და მიწა და შენობა- ნაგებობები	საკომუნიკაციო აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	ავტოსატრან- სპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება / გადაფასებული ღირებულება					
31 დეკემბერი, 2015 წ.	11,767	2,312	550	967	15,596
შემოსვლები	1,336	463	256	90	2,145
გასხვისება და ჩამოწერა	–	(41)	–	–	(41)
31 დეკემბერი, 2016 წ.	13,103	2,734	806	1,057	17,700

დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი, 2015 წ.	–	(1,213)	(321)	(449)	(1,983)
ცვეთის დანარიცხი	(506)	(402)	(111)	(186)	(1,205)
გასხვისება და ჩამოწერა	–	–	37	–	37
31 დეკემბერი, 2016 წ.	(506)	(1,615)	(395)	(635)	(3,302)

წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი, 2015 წ.	11,767	1,099	229	518	13,613
31 დეკემბერი, 2016 წ.	12,597	1,119	411	422	14,549

პალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“
2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

8. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, კომპანიამ დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებელი. სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია საბაზრო მონაცემების შესაბამისად. გადაფასების თარიღი 2015 წლის 31 დეკემბერი იყო. შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების შესახებ დაწვრილებით განმარტებულია მე-19 შენიშვნაში.

შენობა-ნაგებობები თვითღირებულების მოდელით თუ შეფასდა, მათი საბალანსო ღირებულება ასეთი იქნება:

2017	შენობა- ნაგებობები	მიწა
თვითღირებულება	11,868	235
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება	(2,805)	(122)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	9,063	113

2016	შენობა- ნაგებობები	მიწა
თვითღირებულება	11,483	235
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება	(2,418)	(122)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	9,065	113

1,874 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე (2016 წ.: 1,965 ლარი) კომპანიის შენობებით უზრუნველყოფილია ქართული ბანკისგან მიღებული სესხი (მე-12 შენიშვნა).

9. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს:

	2017	2016
მიმდინარე გადასახადის დანარიცხი	(4,448)	(4,432)
გადავადებული გადასახადის დანარიცხი / (კრედიტი) – დროებითი სხვაობების წარმოშობა და ამობრუნება	(337)	1,912
გამოკლებული: სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული გადავადებული გადასახადი	–	(513)
მოგების გადასახადის ხარჯი	(4,785)	(3,033)

საქართველოში იურიდიულ პირებს მოეთხოვებათ მოგების გადასახადის დეკლარაციების წარდგენა. 2017 და 2016 წლებში მოგების გადასახადის სტანდარტული განაკვეთი კომპანიებისთვის საქართველოში 15%-ს შეადგენდა.

(ათას ლარში)

9. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთისგან. ქვემოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი შესაბამისობაშია მოყვანილი გადასახადის რეალურ ოდენობასთან:

	2017	2016
დასაბეგრი მოგება	33,782	30,080
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით	15%	15%
გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	(5,067)	(4,512)
წინა პერიოდის მიმდინარე გადასახადის დაკორექტირება	-	(156)
გადასახადით დაუბეგრავი მოგება	659	513
გამოუქვითავი დანახარჯები	(377)	(30)
საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების ეფექტი (ა)	-	1,152
მოგების გადასახადის ხარჯი	(4,785)	(3,033)

(ა) 2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილება შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ამ ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, კომპანიამ თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ხელახლა შეაფასა საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა ამოქმედებაც მოსალოდნელია იმ პერიოდში, როდესაც აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების გასტუმრება ხდება. ბას 12-ის „მოგების გადასახადი“ თანახმად, კომპანიამ გაუნაწილებელი მოგებისთვის გამოიყენა 0%-იანი საგადასახადო განაკვეთი იმ აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, რომელთა რეალიზაცია ან გასტუმრება მოსალოდნელია 2019 წლის 1 იანვრიდან ცვლილების ამოქმედების პერიოდებში.

ახალი რეგულაციის შედეგად, კომპანიამ აღიარა წმინდა 1,152 ლარის ოდენობის გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების შედეგად მიღებული მოგების გადასახადის ხარჯი 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგებაში ან ზარალში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასით შესრულებული გარიგებები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ბიზნესსაქმიანობასთან, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბას 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების

(ათას ლარში)

9. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად. საგადასახადო ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება მსგავსი მოგების განაწილებას, არ ახდენს გავლენას კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი მოძრაობა შესაბამის წლებში შემდეგია:

	დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება			დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება		
	2015	მოგება- ზარალის ანგარიშგებაში	სხვა სრულ შემოსავალში	2016	მოგება- ზარალის ანგარიშგებაში	2017
გამოსაქვითი დროებითი სხვაობების საგადასახადო						
ეფექტი						
კლიენტებზე გაცემული სესხები, ნეტო	619	236	–	855	(284)	571
გამოშვებული თამასუქები	326	(20)	–	306	(124)	182
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	–	–	–	–	11	11
არამატერიალური აქტივები	4	1	–	5	–	5
სხვა აქტივები	45	229	–	274	(98)	176
გადავადებული საგადასახადო აქტივი	994	446	–	1,440	(495)	945
დასაბეგრი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი						
მირითადი საშუალებები	(1,787)	953	513	(321)	158	(163)
გადავადებული საგადასახადო (ვალდებულება)/აქტივი	(793)	1,399	513	1,119	(337)	782

10. სხვა აქტივები

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	2017	2016
მოთხოვნები ფულადი გზავნილების კომპანიების მიმართ	7,223	3,283
ოქროს ზოდების გაყიდვიდან მისაღები ანგარიშები	2,586	–
ოქროს ზოდები	2,055	1,303
დასაკუთრებული სამკაულები	829	921
სხვა	761	355
	13,454	5,862

(ათას ლარში)

11. გამოშვებული თამასუქები

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გამოშვებული ჰქონდა მოკლევადიანი (ძირითადად, ერთწლიანი) პროცენტიანი თამასუქები, რომლებიც გამოხატულია ლარში, ევროსა და აშშ დოლარში:

<u>ვალუტები</u>	<u>2017</u>	<u>2016</u>
აშშ დოლარი	124,874	173,184
ლარი	7,156	11,188
ევრო	2,126	2,860
	134,156	187,232

12. ნასესხები სახსრები

2017 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიამ მიიღო ნასესხები სახსრები ქართული ბანკებისგან ლარში, 10%-დან 14%-მდე საპროცენტო განაკვეთებით (2016 წ.: 12%-დან 13%-მდე), რომლებიც სებ-ის რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 45,652 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე ნასესხები სახსრები (2016 წ.: 34,609) უზრუნველყოფილია მსესხებლებისგან უზრუნველყოფის სახით მიღებული ოქროთი, რომლის სამართლიანი ღირებულებაც 63,036 ლარია (2016 წ.: 72,463) და რომლის ხელახლა დაგირავების უფლებაც კომპანიას აქვს, კლიენტის დეფოლტის არარსებობის შემთხვევაში (მე-7 შენიშვნა).

1,874 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე (2016 წ.: 1,965 ლარი) კომპანიის შენობები დაგირავებულია ქართული ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად (მე-12 შენიშვნა).

13. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	<u>2017</u>	<u>2016</u>
ფულადი გზავნილების ოპერაციებთან დაკავშირებული დავალიანება	216	-
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა	1,243	441
	1,459	441

(ათას ლარში)

14. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ასახული კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას და ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას. 2017 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 836 ლარს (2016 წ.: 836 ლარი).

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიას შეუძლია დივიდენდების განაწილება თავისი წლიური ან ნახევარწლიური მოგებიდან.

2017 წელს კომპანიამ გამოაცხადა და აქციონერს სრულად გადაუხადა 8,212 ლარის ოდენობის დივიდენდები (2016 წ.: 8,460 ლარი).

გადაფასების რეზერვების ხასიათი და დანიშნულება

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი გამოიყენება შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების გაზრდის და შემცირებების აღრიცხვისათვის, იმ პირობით, თუ ამგვარი შემცირება უკავშირდება კაპიტალში ადრე ასახული იმავე აქტივის ზრდას.

გადაფასების რეზერვის მოძრაობის წარმოდგენა შემდეგნაირად შეიძლება:

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,028
საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების ეფექტი (მე-9 შენიშვნა)	513
გადაფასების რეზერვის ცვეთა და გადატანა	(122)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>3,419</u>
გადაფასების რეზერვის ცვეთა და გადატანა	(137)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>3,282</u>

(ათას ლარში)

15. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

საქართველო აგრძელებს ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების მიხედვით ავითარებს სამართლებრივ, საგადასახადო და სარეგულაციო ბაზას. ქართული ეკონომიკის მომავალი მდგრადობა ბევრადაა დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის.

იურიდიული

ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შესაძლებელია კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი აღიმრას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თუ რაიმე სარჩელის გამო კომპანიას დაეკისრება პასუხისმგებლობა, ამ პასუხისმგებლობის მთლიანი მოცულობა უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

პირობითი ვალდებულებები

31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პირობითი ვალდებულებები მოიცავდა შემდეგს:

	2017	2016
ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან		
არაუგვიანეს 1 წლისა	351	398
1 წელზე გვიან, მაგრამ არაუგვიანეს 5 წლისა	810	665
5 წელზე გვიან	432	545
	1,593	1,608

16. სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	2017	2016
კავშირგაბმულობა და კომუნალური მომსახურება	601	484
იჯარა და ქირა	534	486
ძირითადი საშუალებების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	197	186
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	187	171
სამივლინებო ხარჯი	175	148
დაცვა-უსაფრთხოების დანახარჯები	162	144
საოპერაციო გადასახადები	146	143
წარმომადგენლობითი ხარჯები	108	165
ბანკის საკომისიო	92	69
სარეკლამო მომსახურების ხარჯი	87	212
საოფისე აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები	84	97
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა წმინდა	-	301
სარეალიზაციო ღირებულებამდე	253	319
სხვა	2,626	2,925

(ათას ლარში)

17. რისკის მართვა

შესავალი

კომპანიის საქმიანობისთვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი, და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით. რისკის მართვის ამ პროცესს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის უწყვეტი შემოსავლიანობისათვის. ხელმძღვანელობის ზედა რგოლი პასუხს აგებს და უშუალოდაა ჩართული რისკის მართვის საქმიანობაში. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო იღებს რისკის მართვის შესაბამის გადაწყვეტილებებს (რომლებიც მოიცავს როგორც ქვემოთ აღწერილ ფინანსურ რისკს, ისე ბიზნესრისკებს, როგორიცაა გარემოს, ტექნოლოგიების და დარგის ცვლილებები) რეგულარულ შეხვედრებზე, რომლებიც მინიმუმ თვეში ორჯერ ტარდება. შემუშავების ეტაპზეა რისკის მართვის ფორმალიზებული პროცესი. კომპანიას მირითადად აქვს საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები. მისთვის ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა უდრის თავისი ფულადი სახსრების (გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში), გაცემული სესხების, დებიტორულ დავალიანების და წარმოებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას.

სალომბარდო სესხებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკები მირითადად იმართება სესხების უზრუნველყოფის მოთხოვნით. გარდა ამისა, კომპანია ზღუდვას და აკონტროლებს ერთ მსესხებელზე გაცემული სალომბარდო სესხების თანხას (მაქსიმუმ 50 ათასი ლარი) და არ არსებობს ერთი მსესხებელი, რომელზეც მნიშვნელოვანი ნაშთი მოდის, სალომბარდო სესხების მთლიან ნაშთთან მიმართებაში.

იპოთეკური სესხის შემთხვევაში, სესხის მომთხოვნი პირი ჯერ ავსებს სასესხო განაცხადს, რომელსაც განიხილავს და აანალიზებს კომპანიის საკრედიტო განყოფილება. თუ განაცხადს დაამტკიცებს საკრედიტო განყოფილება, შემდეგ ტარდება გასაუბრება პირადად კლიენტთან კომპანიის დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ. თუ კომპანიის დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დაასკვინან, რომ აღნიშნული კლიენტის შემთხვევაში საკრედიტო რისკის მისაღები დონე არსებობს, შემდეგ ხდება დასაგირავებელი ქონების შეფასება და გაიცემა იპოთეკური სესხი, რომლის თანხაც არ აღემატება ქონების სალიკვიდაციო ღირებულების 30%-ს. ეს არის ის მიახლოებითი თანხა, რომლის მიღებაც მოსალოდნელია აქტივის დაჩქარებული წესით გაყიდვის შედეგად, ვიდრე იქნებოდა დამოუკიდებელ ყიდვების შედეგად.

სალომბარდო სესხის შემთხვევაში, თუ მსესხებელი 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ განახორციელებს შენატანს, კომპანია კლიენტს უგზავნის ოფიციალური გაფრთხილების წერილს და თუ მსესხებელი მაინც ვერ დაფარავს დავალიანებას 60 დღის განმავლობაში, ან, რიგ შემთხვევებში, 120 დღის განმავლობაში, მაშინ კომპანია ჩამოწერს სესხს და ყიდის უზრუნველყოფის საგანს.

იპოთეკური სესხების შემთხვევაში, ოფიციალური გაფრთხილების წერილი იგზავნება მაშინ, თუ მსესხებელი ვერ გადაიხდის 15 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში და წერილი ასევე ქვეყნდება გაზიერები. თუ მსესხებელი ვერ გადაიხდის დავალიანებას დროულად, კომპანიის თანამშრომელი კლიენტს უკავშირდება ტელეფონით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით და მოსთხოვს მას თანხის დაფარვას. ჩვეულებრივ, კომპანია სასამართლოს მხოლოდ მაშინ მიმართავს დაგირავებული უძრავი ქონების გაყიდვის მოთხოვნით, როდესაც სესხი 120 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული. თუმცა, გარკვეულ შეთხვევებში, კომპანია ცდილობს კლიენტთან სესხის შეცვლილ პირობებზე მოლაპარაკებას, დაგირავებული ქონების გაყიდვის თავითან აგილების მიზნით. როგორ წესი, სასამართლო

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“
2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

17. რისკის მართვა (გაგრძელება)

აკმაყოფილებს კომპანიის მოთხოვნას და აქტივები იყიდება კომპანიის მიმართ მსესხებლის დავალიანების დასაფარად, თუმცა ხშირად ჯარიმების დაფარვა არ ხდება. სასამართლოში საქმის წარმოებას შეიძლება დაახლოებით ერთი წელი დასჭირდეს, ხოლო აღსრულების პროცესს - კიდევ სამი თვე.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტების მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ყველაზე უკეთ ასახავს მათი საბალანსო ღირებულება. ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კლასის მაქსიმალური საკრედიტო რისკის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები. უზრუნველყოფის ეფექტი და რისკის შემცირების სხვა მეთოდები მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვადასხვა კლასის აქტივების საკრედიტო ხარისხი.

31 დეკემბერი, 2017 წ.	შენიშვნები	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული		ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული		სულ
		მაღალი შეფასება	შეფასების გარეშე	არა გაუფასურებული		
ფულადი სახსრები და მათი ეპივალენტები, გარდა ნაღდი	5	42,063	-	-	42,063	
ფულის ნაშთისა სალაროში მომხმარებლებზე გაცემული სესხები	7	-	196,543	7,424	203,967	
სალომბარდო სესხები		-	141,530	5,112	146,642	
იპოთეკური სესხები		-	55,013	2,312	57,325	

31 დეკემბერი, 2016 წ.	შენიშვნები	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული		ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული		სულ
		მაღალი შეფასება	შეფასების გარეშე	არა გაუფასურებული		
ფულადი სახსრები და მათი ეპივალენტები, გარდა ნაღდი	5	57,106	-	-	57,106	
ფულის ნაშთისა სალაროში მომხმარებლებზე გაცემული სესხები	7	-	221,678	10,148	231,826	
სალომბარდო სესხები		-	139,794	6,859	146,653	
იპოთეკური სესხები		-	81,884	3,289	85,173	

ფულადი სახსრები და მათი ეპივალენტები, გარდა ნაღდი	5	57,106	-	-	57,106	
ფულის ნაშთისა სალაროში მომხმარებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი	7	-	221,678	10,148	231,826	
სალომბარდო სესხები		-	139,794	6,859	146,653	
იპოთეკური სესხები		-	81,884	3,289	85,173	

კომპანიას არ აქვს საკრედიტო რეიტინგის შიდა სისტემა, რომ შეაფასოს კლიენტებზე გაცემული არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული სესხების საკრედიტო ხარისხი. კომპანია ფლობს ფულადის სახსრების ეკვივალენტებს ბანკებში, რომლებსაც მიიჩნევს მაღალი საკრედიტო ხარისხის მქონედ.

(ათას ლარში)

17. რისკის მართვა (გაგრძელება)

ვადაგადაცილებული სესხები მოიცავს მხოლოდ იმ სესხებს, რომლებიც ვადაგადაცილებულია მხოლოდ რამდენიმე დღით. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ვადაგადაცილებული სესხების ანალიზს ხანდაზმულობის მიხედვით.

ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული სესხების ხანდაზმულობის ანალიზი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით შემდეგია:

31 დეკემბერი, 2017 წ.	3 თვეზე ნაკლები	31 დღიდან 60 დღემდე	61 დღიდან 90 დღემდე	მეტი მეტი	სულ
-----------------------	--------------------	------------------------	------------------------	--------------	-----

**მომხმარებლებზე გაცემული
სესხები**

სალომბარდო სესხები	2,494	1,242	810	566	5,112
იპოთეკური სესხები	335	86	41	1,850	2,312
სულ	2,829	1,328	851	2,416	7,424

31 დეკემბერი, 2016 წ.	3 თვეზე ნაკლები	31 დღიდან 60 დღემდე	61 დღიდან 90 დღემდე	მეტი მეტი	სულ
-----------------------	--------------------	------------------------	------------------------	--------------	-----

**მომხმარებლებზე გაცემული
სესხები**

სალომბარდო სესხები	3,162	1,259	927	1,511	6,859
იპოთეკური სესხები	1,067	261	-	1,961	3,289
სულ	4,229	1,520	927	3,472	10,148

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მე-7 შენიშვნა.

(ათას ლარში)

17. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

გაუფასურების შეფასება

სესხების გაუფასურების შეფასებისას ითვალისწინებენ, მოხდა თუ არა ძირითადი თანხის ან პროცენტის დაფარვის ვადაგადაცილება (ან, სალომბარდო სესხების შემთხვევაში, დაფარვის თავდაპირველ ვადაზე მეტად გადავადებული), ან არის თუ არა ცნობილი მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ჯეოფიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებში რამე სირთულის არსებობის შესახებ ან ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების დარღვევის ფაქტი. კომპანია რეზერვებს აფასებს მხოლოდ კოლექტიურად, რადგან მას არ აქვს ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხები.

კოლექტიურად შეფასებული რეზერვები

დანაკარგების რეზერვები კლიენტებზე გაცემულ სესხებზე, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი არ არის, კოლექტიურად ფასდება გაუფასურების რეზერვი ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის და თითოეული პორტფელი განიხილება დამოუკიდებლად. მსგავსი საკრედიტო რისკის პროფილის მქონე სესხების ჯეოფებს კომპანია განსაზღვრავს პროდუქტის, სესხის ვალუტისა და ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით.

გაუფასურების კოლექტიური შეფასება ითვალისწინებს იმ გაუფასურებასაც, რომლის არსებობაც მოსალოდნელია პორტფელში. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები ფასდება შემდეგ ინფორმაციაზე დაყრდნობით: პორტფელთან დაკავშირებული ისტორიული ზარალი, დროის მონაკვეთის ხანგრძლივობა ზარალის სავარაუდო დადგომიდან მის გამოვლენამდე, აგრეთვე გაუფასურების შემდგომ მოსალოდნელი მისადები და ამოღებული თანხები. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განსაზღვროს დროის ის მონაკვეთი, რომლის შემდეგაც სესხი გაუფასურებულად გამოცხადდება. ზემოაღნიშნული პერიოდის ხანგრძლივობამ შეიძლება ერთი წელიც შეადგინოს. გაუფასურების რეზერვის შესაბამისობას კომპანიის საერთო პოლიტიკასთან ამოწმებს საკრედიტო განყოფილების ხელმძღვანელობა.

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა თამასუქებით წარმოდგენილი ფინანსური რესურსების ბაზის გარდა იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდურობის მიხედვით და ყოველდღიურ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდურობას. აღნიშნულ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის.

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით

ცხრილში ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 31 დეკემბრის მდგომარეობით საკონტრაქტო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებებზე დაყრდნობით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. ამის მიუხედავად, კომპანია მოელის, რომ შეძლებს დაფარვების რეფინანსირებას ან გადავადებას უადრესი თარიღით, როდესაც შეიძლება კომპანიას გადახდა მოეთხოვოს და ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომლებიც მითითებულია კომპანიის თამასუქების რეფინანსირების ისტორიაში.

(ათას ლარში)

17. რისკის მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2017 წ.	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ნასესხები სახსრები	546	932	21,438	32,565	55,481
გამოშვებული თამასუქები	45,335	25,379	67,245	305	138,264
წარმოებული ფინანსური					
ვალდებულებები	100,608	–	–	–	100,608
სხვა ფინანსური					
ვალდებულებები	216	–	–	–	216
სულ არადისკონტირებული ფინანსური	146,705	26,311	88,683	32,870	294,569
31 დეკემბერი, 2016 წ.	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ნასესხები სახსრები	520	3,236	21,956	12,748	38,460
თამასუქები	86,556	25,180	82,151	–	193,887
სულ არადისკონტირებული ფინანსური	87,076	28,416	104,107	12,748	232,347

საბაზრო რისკი

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში გამოხატული აქტივებისა და ვალდებულებების გამო არსებობს სავალუტო რისკი. სავალუტო რისკს ხელმძღვანელობა აკონტროლებს სესხების გაცემით და დაფინანსების მიღებით ერთსა და იმავე ვალუტაში.

ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბაზროს ღირებულებებით, განაწილებული ვალუტების მიხედვით (მოცემულია ეკვივალენტური თანხებით ლარში).

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურა სავალუტო რისკთან მიმართებაში:

(ათას ლარში)

17. რისკის მართვა (გაგრძელება)

<u>31 დეკემბერი, 2017 წ.</u>	<u>ლარი</u>	<u>აშშ დოლარი</u>	<u>ევრო</u>	<u>რუსული რუბლი</u>	<u>სხვა</u>	<u>სულ</u>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მომხმარებლებზე გაცემული სესხები	31,693	33,197	6,028	3,564	487	74,969
სხვა ფინანსური აქტივები	95,303	104,483	1,568	–	–	201,354
სულ	106	4,343	4,907	568	–	9,924
	127,102	142,023	12,503	4,132	487	286,247

გამოშვებული თამასუქები ნასესხები სახსრები	(7,156)	(124,874)	(2,126)	–	–	(134,156)
სხვა ფინანსური	(45,652)	–	–	–	–	(45,652)
ვალდებულებები	(14)	(8)	(191)	(3)	–	(216)
სულ	(52,822)	(124,882)	(2,317)	(3)	–	(180,024)

რისკის მართვის მიზნით ფლობილი წარმოებული ფინანსური	(100,608)	100,034	–	–	–	(574)
ინსტრუმენტების ეფექტი წმინდა მდგომარეობა	–	–	–	–	–	–
რისკის მართვის მიზნით ფლობილი წარმოებული ფინანსური	(26,328)	117,175	10,186	4,129	487	105,649
ინსტრუმენტების შემდეგ	–	–	–	–	–	–

<u>31 დეკემბერი, 2016 წ.</u>	<u>ლარი</u>	<u>აშშ დოლარი</u>	<u>ევრო</u>	<u>რუსული რუბლი</u>	<u>სხვა</u>	<u>სულ</u>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მომხმარებლებზე გაცემული სესხები	11,413	56,412	3,058	1,640	328	72,851
სხვა ფინანსური აქტივები	53,184	173,226	2,585	–	–	228,995
სულ	15	835	2,198	235	–	3,283
	64,612	230,473	7,841	1,875	328	305,129
გამოშვებული თამასუქები ნასესხები სახსრები	(11,188)	(173,184)	(2,860)	–	–	(187,232)
სულ	(34,609)	–	–	–	–	(34,609)
სავალუტო პოზიცია	(45,797)	(173,184)	(2,860)	–	–	(221,841)
	18,815	57,289	4,981	1,875	328	83,288

(ათას ლარში)

17. რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო კურსის მგრძნობელობის ანალიზი

აშშ დოლართან, ევროსთან და რუსულ რუბლთან მიმართებაში ლარის გაუფასურება 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების ან ზარალის ქვემოთ წარმოდგენილ თანხებს შემდეგნაირად გაზრდიდა (შეამცირებდა): ანალიზი წარმოდგენილია გადასახადის გათვალისწინებით და ეყრდნობა სავალუტო კურსების მერყეობას, რომელიც კომპანიის აზრით მოსალოდნელი იყო ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები მუდმივი რჩება.

ვალუტა	2017		2016	
	სავალუტო კურსის ცვლილება, %	გავლენა მოგებაზე	სავალუტო კურსის ცვლილება, %	გავლენა მოგებაზე
აშშ დოლარი	13.5%/(9.5%)	15,819/(11,132)	14%/(7%)	8,020/(4,010)
ევრო	16%/(12%)	1,630/(1,222)	17.5%/(10.5%)	872/(523)
რუსული რუბლი	17%/(17%)	702/(702)	30%/(15%)	563/(281)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ დინამიკაზე.

მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძნობელობა არის საპროცენტო ხარჯზე ერთი წლის მანძილზე საპროცენტო განაკვეთის ნავარაუდევი ცვლილების ეფექტი სებ-ის რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული ფინანსური ვალდებულებების ცვალებად განაკვეთზე 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ვალდებულებები, რომლებსაც აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის რისკი 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	2016
ნასესხები სახსრები	45,652	34,609

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“
2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

17. რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია კომპანიის მოგება-ზარალის და კაპიტალის ანგარიშგების (გადასახადით დაბეგვრამდე) მგრძნობელობა ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიმართ, როდესაც ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია.

2017	2016
ეფექტი მოგებასა და კაპიტალზე	ეფექტი მოგებასა და კაპიტალზე
განაკვეთის ცვლილება, საბაზისო პუნქტები	განაკვეთის ცვლილება, საბაზისო პუნქტები
100/(100)	324/(324)
150/(150)	417/(417)

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. კომპანია საოპერაციო რისკს ძირითადად ამცირებს იმით, რომ ხელმძღვანელობის ზედა რგოლი უშუალოდაა ჩართული კომპანიის პროცესებსა და ოპერაციებში, შეფასების, ავტორიზაციისა და შეჯერების პროცედურების ჩათვლით.

(ათას ლარში)

18. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ქვემოთ ცხრილში მოცემულია აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა. კომპანიის საკონტრაქტო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებები იხილეთ მე-17 შენიშვნაში - „რისკის მართვა“.

	2017			2016		
ერთი წლის განმავლო- ბაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ	ერთი წლის განმავლო- ბაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოებული ფინანსური აქტივები	74,969	-	74,969	72,851	-	72,851
მომხმარებლებზე გაცემული სესხები მიმდინარე მოგების გადასახადი აქტივი	585	-	585	-	-	-
მირითადი საშუალებები არამატერიალური აქტივები	181,901	19,453	201,354	164,339	64,656	228,995
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	715	-	715	2,063	-	2,063
სხვა აქტივები	-	14,073	14,073	-	14,549	14,549
სულ	271,624	34,374	305,998	245,115	80,412	325,527
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	701	-	701	-	-	-
გამოშვებული თამასუქები	133,876	280	134,156	187,232	-	187,232
ნასესხები სახსრები	17,737	27,915	45,652	22,505	12,104	34,609
სხვა ვალდებულებები	1,459	-	1,459	441	-	441
სულ	153,773	28,195	181,968	210,178	12,104	222,282
წმინდა	117,851	6,179	124,030	34,937	68,308	103,245

ზემოთ წარმოდგენილი ცხრილი არ ასახავს კლიენტებზე გაცემული სესხების ისტორიულ ტენდენციებს და გამოშვებული თამასუქების ვადის გაგრძელებას, რესტრუქტურიზაციასა და რეფინანსირებას.

(ათას ლარში)

19. სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცედურა

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია იმ ფასთან მიახლოება, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. მაგრამ განუსაზღვრელობებისა და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების გადაცემით.

კომპანიის ფინანსური განყოფილება განსაზღვრავს კომპანიის აქტივების, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების, სამართლიანი ღირებულების შეფასების პოლიტიკას და პროცედურებს ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება იანგარიშება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა ანალოგიურ ინსტრუმენტებზე მომავალში მოსალოდნელ ფულად ნაკადებს და დისკონტირების განაკვეთებს საანგარიშებო თარიღისთვის.

2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს ფინანსური ინსტრუმენტები, კლიენტებზე გაცემული სხვა სესხები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც განისაზღვრება შეფასების ისეთი მეთოდებით, რომლებიც იყენებს არასაბაზრო დაკვირვებად მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულების იერარქია

კომპანია სამართლიან ღირებულებებს აფასებს სამართლიანი ღირებულების შემდეგი იერარქიით, რომელიც ასახავს შეფასებებში გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

- ▶ 1-ლი დონე: ანალოგიური ინსტრუმენტის კოტირებული საბაზრო ფასი (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზარზე.
- ▶ მე-2 დონე: პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა სხვა პირდაპირ (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან მიღებული) დაკვირვებადი მონაცემები. ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე; მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასები ისეთ ბაზრებზე, რომლებიც ნაკლებად აქტიურად ითვლება; ან სხვა შეფასების მეთოდები, რა შემთხვევაშიც, შეფასებაში მონაწილე ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი პირდაპირ არაპირდაპირ არის ბაზრიდან მოპოვებადი.
- ▶ მე-3 დონე: არადაკვირვებადი (არასაბაზრო) მონაცემები ეს კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომელთა შეფასების მეთოდიც ეყრდნობა ისეთ ინფორმაციას, რომელიც არ შეიცავს დაკვირვებად (საბაზრო) მონაცემებს და არადაკვირვებადი (არასაბაზრო) მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინსტრუმენტის შეფასებაზე. ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასების საფუძველზე, რა შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი არასაბაზრო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო ამ ინსტრუმენტებს შორის განსხვავებების ასახვისთვის.

(ათას ლარში)

19. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით, რომლებზეც განაწილებულია სამართლიანი ღირებულების შეფასება. რიცხობრივი მონაცემები ეყრდნობა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებს:

სამართლიანი ღირებულების შეფასება:				
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შეფასების თარიღი	აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (1-ლი დონე)	მნიშვნელოვანი საბაზრო მონაცემები (1-ლი დონე)	მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემები (მე-2 დონე) (მე-3 დონე)

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები და ვალდებულებები ძირითადი საშუალებები - მიწა და შენობა-ნაგებობები	31 დეკემბერი, 2015 წ.	-	-	12,458
წარმოებული ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი, 2017 წ.	-	585	-
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი, 2017 წ.	-	701	-
აქტივები და ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	31 დეკემბერი, 2017 წ.	32,906	42,063	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	31 დეკემბერი, 2017 წ.	-	-	201,200
სხვა ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი, 2017 წ.	-	9,924	-
გამოშვებული თამასუქები	31 დეკემბერი, 2017 წ.	-	134,988	-
ნასესხები სახსრები	31 დეკემბერი, 2017 წ.	-	45,652	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი, 2017 წ.	-	216	-

(ათას ლარში)

19. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შეფასება:			
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შეფასების თარიღი	აქტიურ ბაზრებზე მნიშვნელოვანი კოტირებული ფასები (1-ლი დონე)	მნიშვნელოვანი საბაზრო მონაცემები (მე-2 დონე) (მე-3 დონე)

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები ძირითადი სამუალებები - მიწა და შენობა-ნაგებობები	31 დეკემბერი, 2015 წ.	-	-	12,597
----------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------	---	---	--------

აქტივები და ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი	31 დეკემბერი, 2016 წ.	15,745	57,106	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	31 დეკემბერი, 2016 წ.	-	-	230,687
სხვა ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი, 2016 წ.	-	3,283	-
გამოშვებული თამასუქები	31 დეკემბერი, 2016 წ.	-	188,632	-
ნასესხები სახსრები	31 დეკემბერი, 2016 წ.	-	34,609	-

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება
სამართლიანი ღირებულებით

წინამდებარე ცხრილში მოცემულია კომპანიის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო
ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც არ
აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ცხრილი არ მოიცავს
არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს.

(ათას ლარში)

19. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება
სამართლიანი ღირებულებით (გაგრძელება)

	2017		2016		აუდიარე- ბელი	
	საბალანსო	სამართლიანი	აუდიარე- ბელი	საბალანსო	სამართლიანი	მოგება/ (ზარალი)
	<u>ღირებულება</u>	<u>ღირებულება</u>	<u>ზარალი</u>	<u>ღირებულება</u>	<u>ღირებულება</u>	<u>(ზარალი)</u>
ფინანსური აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მომხმარებლებზე	74,969	74,969	-	72,851	72,851	-
გაცემული სესხები სხვა ფინანსური	201,354	201,200	(154)	228,995	230,687	1,692
აქტივები	9,924	9,924	-	3,283	3,283	-
ფინანსური						
ვალდებულებები						
გამოშვებული						
თამასუქები	134,156	134,988	(832)	187,232	188,632	(1,400)
ნასესხები სახსრები	45,652	45,652	-	34,609	34,609	-
სხვა ფინანსური						
ვალდებულებები	216	216	-	-	-	-
სამართლიანი						
ღირებულების						
მთლიანი						
აუდიარებელი						
ცვლილება			<u>(986)</u>			<u>292</u>

შეფასების მეთოდები და დაშვებები

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი
ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი
ღირებულებით.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის
ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), ასევე ცვალებადი
განაკვეთის მქონე აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, უახლოვდება მათ
სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

კლიენტებზე გაცემული სესხების, გამოშვებული თამასუქების და ნასესხები სახსრების სამართლიანი
ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების,
საკრედიტო რისკის და დარჩენილი ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“
2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

19. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების შეფასებისთვის გამოყენებული მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემების აღწერა

ქვემოთ ცხრილში მოცემულია მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემების აღწერა, რომლებიც გამოყენებულია 2015 წლის 31 დეკემბრისთვის ქონებისა და გადაფასებული ძირითადი საშუალებების მესამე დონის შეფასებებისთვის:

მიწა და შენობა-ნაგებობები	სამართლიანი ღირებულება, ლარი	შეფასების მეთოდები	მნიშვნელოვანი არასაბაზრო ამოსავალი მონაცემები	დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)
მიწა და შენობა-ნაგებობები	11,767	საბაზრო მიდგომა საბაზრო	კვ.მ.-ის ფასი ლარში	127-1,894 (977)
ქონება 1	113	მიდგომა	კვ.მ.-ის ფასი ლარში პოტენციური მთლიანი წლიური შემოსავალი (ლარში) 1 კვ.მ.-ზე	690-3,030 (2,383)
ქონება 2	2,786	მიდგომა	და კაპიტალიზაციის კოეფიციენტი	407-407 (407); 13.4%
ქონება 3	534	შემოსავლის მიდგომა საბაზრო	კვ.მ.-ის ფასი ლარში პოტენციური მთლიანი წლიური შემოსავალი (ლარში) 1 კვ.მ.-ზე	1,294-1,321 (1,311)
ქონება 4	991	მიდგომა	და კაპიტალიზაციის კოეფიციენტი	740-870 (792); 14.4%
ქონება 5	793	შემოსავლის მიდგომა საბაზრო	კვ.მ.-ის ფასი ლარში პოტენციური მთლიანი წლიური შემოსავალი (ლარში) 1 კვ.მ.-ზე	1,751-5,436 (2,761)
ქონება 6	3,344	მიდგომა	და კაპიტალიზაციის კოეფიციენტი	386-1,423 (532); 13.4%-15.4% (14.8%)
	3,206	შემოსავლის მიდგომა		

კვადრატული მეტრის ფასის შემცირება და, შესაბამისად, მოსალოდნელი მთლიანი წლიური შემოსავლის შემცირება კვადრატულ მეტრზე ან კაპიტალიზაციის განკვეთის ზრდა, ქონებების სამართლიანი ღირებულების შემცირებას გამოიწვევდა.

მიწისა და შენობა-ნაგებობების კატეგორიების საბალანსო ღირებულების შეჯერება სამართლიანი ღირებულების მე-3 დონის იერარქიაში 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია მე-8 შენიშვნაში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის საერთო ანალიზის საფუძველზე დასკვნა, რომ მიწისა და შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი სამართლიანი ღირებულებისგან. შესაბამისად, კომპანიას არ მოუხდენია მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ათას ლარში)

20. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების მიმდინარე წაშთები ასეთია:

	2017			2016	
	აქციონერი	უმაღლესი რანგის ხელმძღვანე- ლობა	სხვა დაკავშირებული მხარეები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანე- ლობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
		აქციონერი	სხვა დაკავშირებული მხარეები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანე- ლობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
1 იანვრის მდგომარეობით დასაფარი საერთო სესხი წლის განმავლობაში გაცემული სესხი სესხის დაფარვა წლის განმავლობაში სხვა მოძრაობა	-	53	151	59	67
31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი საერთო სესხი	-	52	130	53	151
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1)	(2)	-	-
31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი სესხი, წმინდა	-	51	128	53	151
თამასუქები 1 იანვრის მდგომარეობით წლის განმავლობაში გამოშვებული თამასუქები	219	1,317	725	4,799	430
წლის განმავლობაში გადახდილი თამასუქები სხვა მოძრაობა	14	(1,384) (8)	(731) (4)	(5,080) 276	(525) 164
ანაბრები 31 დეკემბრის მდგომარეობით	233	327	414	402	424

სხვა დაკავშირებული მხარეები ძირითადად წარმოდგენილია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირებისა და პარტნიორის ოჯახის წევრებით.

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“
2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

20. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების შედეგად მიღებული შემოსავალი და ხარჯი:

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის					
2017			2016		
უმაღლესი რანგის ხელმძღვანე- აქციონერი	სხვა ლობა	დაკავშირებული მხარეები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანე- აქციონერი	სხვა ლობა	დაკავშირებული მხარეები
საპროცენტო შემოსავალი					
სესხებზე	-	4	8	-	7
თამასუქების საპროცენტო					
ხარჯი	(13)	(22)	(34)	-	(32)
საიჯარო ხარჯი	(96)	(12)	(36)	(96)	(12)
ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება ასე გამოიყურება:					

საპროცენტო შემოსავალი					
სესხებზე	-	4	8	-	7
თამასუქების საპროცენტო					
ხარჯი	(13)	(22)	(34)	-	(32)
საიჯარო ხარჯი	(96)	(12)	(36)	(96)	(12)
ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება ასე გამოიყურება:					

ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი

	2017	2016
ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	1,008	954

21. კაპიტალის ადეკვატურობა

კომპანია ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. კომპანიის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

გასული წლის განმავლობაში კომპანია სრულად აკმაყოფილებდა კაპიტალის სავალდებულო მოთხოვნებს.

კომპანიის კაპიტალის მართვის მთავარი ამოცანაა იმის უზრუნველყოფა, რომ კომპანია აკმაყოფილებდეს კაპიტალის სავალდებულო მოთხოვნებს და ინარჩუნებდეს კაპიტალის ჯანსაღ კოეფიციენტებს იმისთვის, რომ განამტკიცოს თავისი საქმიანობა და მაქსიმალურად გაზარდოს პარტნიორისთვის შექმნილი ღირებულება.

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

სებ-ი კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტებისგან მოითხოვს საკუთარი კაპიტალის აქტივებთან თანაფარდობის 20%-იანი კოეფიციენტის შენარჩუნებას. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანიის აღნიშნული კოეფიციენტი ასე გამოიყურებოდა:

	2017	2016
კაპიტალი	124,030	103,245
აქტივები	305,998	325,527
საკუთარი კაპიტალის აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი 31 დეკემბრის მდგომარეობით	41%	32%

(ათას ლარში)

22. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან და სხვა არაფულადი ოპერაციებიდან წარმოშობილ
ვალდებულებებში

	გამოშვებული* თამასუქები	ნახევსები სახსრები	ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ვალდებულებები, სულ
საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	185,936	25,994	211,930
გაცემულ სესხზე მიღებული შემოსავალი მირითადი თანხის დაფარვა	–	48,175	48,175
ცვლილებები დარიცხულ პროცენტში უცხოური ვალუტის კონვერტაცია	(15,405)	(39,560)	(54,965)
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	(384)	–	(384)
	17,085	–	17,085
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	187,232	34,609	221,841
გაცემულ სესხზე მიღებული შემოსავალი მირითადი თანხისა და პროცენტის დაფარვა	–	37,587	37,664
გადახდილი თამასუქები, წმინდა	(48,323)	(26,621)	(74,944)
ცვლილებები დარიცხულ პროცენტში უცხოური ვალუტის კონვერტაცია	–	–	(48,323)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	(225)	77	(225)
	(4,528)	–	(4,528)
134,156	45,652	179,808	

* თამასუქების გამოშვებიდან და მირითადი თანხის გადახდიდან მიღებული შემოსავალი წარმოდგენილია წეტილი საფუძველზე, ვინაიდან ამგვარი შემოსავლის ბრუნვა სწრაფია, რაოდენობა დიდი, ხოლო დაფარვის ვადა მოკლე.

სხვა არსებითი არაფულადი ოპერაციები მირითადად მოიცავს კლიენტებზე გაცემულ სესხებზე დეფოლტის შემთხვევაში უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ოქროს დასაკუთრებას, რაც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 10,816 ლარს შეადგენდა (2016 წ.: 8,980 ლარი).

23. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2018 წლის 12 ივნისს საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ახალი რეგულაციის თანახმად, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, საკრედიტო გაერთიანებებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის გადასახადების ე.წ. „ესტონური მოდელის“ დაწესება (მე-9 შენიშვნა), რაც 2019 წლის 1 იანვრიდან იგეგმებოდა, გადაიდო 2023 წლის 1 იანვრამდე.

ახალი კანონმდებლობა გავლენას მოახდენს კომპანიის გადავადებულ საგადასახადო აქტივებზე და ვალდებულებებზე და შესაბამის მოგების გადასახადის ხარჯების თანხებზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაი საქართველოს“ მიერ 2018 წლის 14 ივნისს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.